



მომზადებულია BCG Research-ის მიერ

**ეთნიკურ უმცირესობებთან
დაკავშირებული თემების ასახვა
მედიაში**

2010, მარტი

ტექნიკური ინფორმაცია

1.1 კვლევის მიზნები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, გამოეველინა:

- ეროვნული ან ეთნიკური სახის საკითხების გაშუქებისას არსებული ძირითადი პრობლემები;
- ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობების პრობლემებით მედიის დაინტერესების დონე, ასახვის სიხშირე და ხარისხი;
- ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობების პრობლემების გაშუქებით დაინტერესებული ძირითადი მედია-საშუალებები;
- ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობების პრობლემების შესახებ საზოგადოების ობიექტურად ინფორმირებულობის ხარისხი, უმცირესობების აღქმით;
- ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობების პრობლემების გაშუქებისას არსებული პრობლემების მიზეზები უმცირესობების წარმოდგენებში და დასახელებული პრობლემების მიმართ დამოკიდებულება;
- მედია-საშუალებების მიმართ დამოკიდებულება;
- ცენტრალური და რეგიონალური მედიის შეფასება და საკვლევი პრობლემების იდენტიფიცირება თითოეულისთვის;
- არსებული პრობლემების მოგვარების გზები, ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობების წარმოდგენებში და ა.შ.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის ფოკუსური ჯგუფის მეთოდი.

ჩატარდა სამი ფოკუსური ჯგუფი - თბილისში, ახალციხესა და მარნეულში.

თითოეული ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა 8-10 რესპონდენტი.

1.3 შერჩევა

ახალციხესა და მარნეულში ჩატარებული ფოკუსურ ჯგუფებს ესწრებოდნენ ადგილობრივი მედია საშუალებების აქტიური მაცურებლები/მკითხველები.

ფოკუსური ჯგუფის მუშაობისათვის სამივე დასახელებულ ჯგუფში თემის სპეციფიკიდან გამომდინარე შეირჩნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. მათ შორის:

ახალციხეში –ეთნიკურად სომეხი რესპონდენტები;

მარნეულში - ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპონდენტები;

თბილისში - 1 ეთნიკურად რუსი, 1 ეთნიკურად აზერბაიჯანელი, 2 ეთნიკურად სომეხი, 1 ეთნიკურად უკრაინელი, 2 ეთნიკურად ოსი და 1 ეთნიკურად ებრაელი. 1 ეთნიკურად იეზიდო რესპონდენტი.

ფოკუსური ჯგუფები დაკომპლექტდა რესპონდენტებით 5 ასაკობრივი ჯგუფიდან: 18-25, 26-34, 35-45, 45-65 და 65+. ჯგუფებში მაქსიმალურად დაცული იყო სქესობრივი კვოტაც.

ანგარიშის ძირითადი ნაწილი

2.1 შესავალი

მოცემულ ანგარიშში გაანალიზებულია კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუსური ჯგუფების მასალები. კვლევის ფარგლებში არსებობდა გარკვეული ზოგადი კონტექსტი, რომელმაც კვლევის შედეგებზეც მოახდინა გავლენა, კერძოდ:

- ახალციხესა და მარნეულში ჩატარებულ ფოკუსურ ჯგუფში დისკუსია უფრო მეტად პასუხობდა კვლევის მიზნებს, ვიდრე თბილისში. მიზეზი ის არის, რომ ახალციხესა და მარნეულში ეთნიკურ-რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემები და მათი გაშუქება უფრო აქტუალურია, ვიდრე თბილისში. თემის აქტუალურობის გამო ახალციხესა და მარნეულში რესპონდენტები საუბრობდნენ უფრო კონკრეტულად და არგუმენტირებულად, საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად იხსენებდნენ ფაქტებს და მოჰყავდათ არგუმენტები.
- თბილისში, პირიქით, იმის გამო, რომ რესპონდენტებს თითქოს კონკრეტულად სათქმელი არაფერი ჰქონდათ, საუბარმა რამდენამდე გლობალური და შემეცნებითი ხასიათი მიიღო. რესპონდენტები უფრო მეტად მიდრეკილნი იყვნენ ესაუბრათ საქართველოში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის მეგობრულ და კონსტრუქციულ ურთიერთობებზე ესაუბრათ, ვიდრე ვიდრე ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების ასახვაზე მედიაში.
- ახალციხესა და მარნეულში, მაუწყებლობს ადგილობრივი ტელეარხები ("მე-9 არხი" და "ალგეთი"), რომლებიც მხოლოდ მცირე პერიოდით ირთვება და პრაქტიკულად, ინფორმაციის სრულად მიწოდებას ვერ ასწრებს. იმის მიუხედავად, რომ დასახელებულ რაიონებში ეთნიკური უმცირესობის თემა, ზოგადად აქტუალურია, რესპონდენტებს აქაც გაუჭირდათ კონკრეტული სიუჟეტების გახსენება, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა.
- რაც შეეხება რეგიონულ ბეჭდურ მედიას, პრაქტიკულად, არცერთ ფოკუს-ჯგუფზე არ ყოფილან რესპონდენტები, რომლებიც ადგილობრივ პრესას ინტენსიურად ეცნობიან. როგორც თავად ამბობენ,

ეს "დრო და დრო" ხდება, რადგან ადგილობრივი გაზეთები, მათი აზრით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. გამოკითხულებისთვის რთული აღმოჩნდა იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად ხშირად და როგორ აშუქებს ადგილობრივი ბეჭდური მედია ეთნიკურ-რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს. მათი თქმით, ამ შინაარსის სტატიები გაზეთებში იშვიათად ხვდება, ამიტომ მათი გახსენება და განზოგადებულად ამ თემაზე მსჯელობა უჭირთ.

- ორივე ჩატარებულ ჯგუფში რესპონდენტები დარწმუნებით ამბობდნენ, რომ რეგიონში არ არსებობს პრობლემები ეთნიკურ ნიადაგზე. მათი გადმოცემით, კონფლიქტები არც ისე ხშირად ხდება ან კონფლიქტს უფრო ყოფითი და არა ეთნიკური საფუძველი აქვს. აქედან გამომდინარე, მედიაში ეთნიკურ ნიადაგზე განვითარებული კონფლიქტური თემებიც არ აისახება.
- რეგიონალურ ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს შორის არცერთი რესპონდენტი არ აღმჩნდა რადიოს მხმსენელი. მათი გადმოცემით, ადგილობრივი თუ ცენტრალური რადიო დიდი ხანია არ მაუწყებლობს. ზოგუიერთმა მათგანმა ეჭვის დონეზე გამოთქვა ვარაუდი, რეგიონში ქსელური რადიოს არსებობის შესახებ, თუმცა დადასტურებული ინფორმაცია არ ჰქონდათ.

ადგილობრივი მედია

ფოკუსურ ჯგუფებზე გამოიკვეთა, რომ რესპონდენტები ადგილობრივი მედია საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას მაინც პერიოდულად და არა პერმანენტულად ეცნობიან. გარდა ამისა, ადგილობრივი არხებით გადმოცემული ინფორმაცია მწირია და სხვა ტელეარხებით ინფორმაციის მიღებას ამჯობინებენ. ამიტომ საუბარი ძირითადად, ნაციონალურ მედიაზე მიმდინარეობდა.

ახალციხეში ტელეკომპანია "მე-9 არხი" საინფორმაციო გამოშვებით ერთვება მხოლოდ დღეში რამოდენიმეჯერ, ხოლო დანარჩენ საეთერო დროს რეკლამები და ნეკროლოგები ავსებს. ადგილობრივი ის ეთერში გადიოდა, შეძლებისდაგვარად აშუქებდა ყველაფერს, რაც რეგიონში ხდებოდა. "მე-9 არხს" ჰქონდა საინფორმაციო პროგრამა "კურიერის" თარგმნისა და ეთერში სომხურ ენაზე განთავსების პრაქტიკაც. ამ გზით ნაციონალური ტელეარხებით გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდებოდა რეგიონის იმ მოსახლეობისთვისაც, რომლებსაც ქართული არ ესმით, თუმცა ეს პრაქტიკა შეწყდა.

თავად რეგიონის სპეციფიკის გამო, რესპონდენტებს უჭირთ კიდევ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემები სხვა თემებისგან გამოყონ. ისინი ამბობენ, რომ საინფორმაციო გამოშვებაში ეთნიკური თემების ხაზგასმა დამოუკიდებლად არ ხდება. პირველ რიგში, საუბარია კონკრეტულ საკითხზე, რომელშიც თანაბრად შეიძლება იყვნენ ჩართულები როგორც ქართველები ასევე სომხები. იმ შემთხვევაშიც, თუ არაქართველები რაიმე ღონისძიებას აწყობენ, სიუჟეტის ლაიტმოტივი სწორედ ღონისძიება და არა ეთნიკური უმცირესობაა.

მარნეულში ადგილობრივი არხის “ალგეთის” მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულება უფრო პოზიტიურია იმ მხრივ, რომ შედარებით აქტიურად აშუქებს ინფორმაციას. თუმცა, რესპონდენტების გადმოცემით, ამ შემთხვევაშიც ადგილობრივი ტელევიზიის როლი, ძირითადად, რეგიონში სხვადასხვა სახის აქტივობების გაშუქებით უფრო ამოიწურება, (რაიმე დაწესებულების/ორგანიზაციის გახსნა, სასკოლო თუ სხვა სახის ახალგაზრდული მოძრაობის ღონისძიებები, სხვადასხვა რაიონებიდან სტუმრების ვიზიტი და ა.შ.) ვიდრე ტიპის ინფორმაციის გაშუქებით.

რაც შეეხება ადგილობრივ მედიას, ფოკუს ჯგუფებზე ამ მიმართულებით დისკუსიის წარმართვა თითქმის შეუძლებელი გახდა, რადგან რესპონდენტების მიერ ბეჭდური მედიით დაინტერესება და შესაბამისად, მათი გაცნობა მინიმალურია.

ახალციხეში გამოკითხულებს აქვთ ინფორმაცია რეგიონული გაზეთის “სამხრეთის კარიბჭის” შესახებ. იციან, რომ გაზეთი პერმანენტულად გამოიცემა, თუმცა ისინი ვინც ბეჭდური მედიით ინტერესდებიან, არჩევანს ცენტრალურ ბეჭდურ მედიაზე აკეთებენ და არა ადგილობრივზე. რესპონდენტების გადმოცემით, “სამხრეთის კარიბჭეს” წარსულში მოსახლეობა უფრო აქტიურად კითხულობდა, რადგან გამოწერებით ვრცელდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციებში და ეს მის “პოპულარიზაციას” შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა. არსებობს ორგანიზაციები, რომელშიც ამჟამადც გამოწერით იღებენ გაზეთს, თუმცა რესპონდენტთა მსოფრებით ძალზე მცირე რაოდენობით.

მარნეულის ფოკუს ჯგუფზე ბეჭდური მედიის მიმართ განწყობა ერთგვაროვანია. ფოკუს ჯგუფის არც ერთ მონაწილეს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, ბეჭდური მედიიდან რომელი გაზეთები თუ ჟურნალები ვრცელდება რაიონში. არსებობს ადგილობრივი გაზეთი, რომელიც რესპონდენტთა გადმოცემით, ძირითადად, განათლების საკითხებზე ბეჭდავს მასალებს, მხოლოდ შიგადაშიგ იბეჭდება სხვა ტიპის სიახლეები. გაზეთი

აზერბაიჯანულ ენაზე იბეჭდება, მაგრამ რესპონდენტთა გადმოცემით, უახლოეს ხანებში იგივე გაზეთის ქართული ვერსიაც გაიყიდება.

რაც შეეხება ცენტრალურ ბეჭდურ მედიას, მათი გადმოცემით თბილისიდან მხოლოდ "სიტყვა და საქმე" და სპორტული გაზეთები შემოდის. გამოკითხულები თვლიან, რომ სხვა სახის პრესით დაინტერესება მინიმალურია და ცხადია, რაიონში შემოტანაც აზრს კარგავს.

ფოკუს-ჯგუფის დასრულების შემდეგ, ინფორმაციის გადასამოწმებლად მოდერატორი გაზეთების ჯიხურს ესტუმრა. "სიტყვა და საქმისა" და ს/სპორტული გაზეთების გარდა, ადგილობრივ მოსახლეობას ბეჭდური მედიის საკმაოდ დიდი არჩევანი აქვთ, თუმცა ფაქტია, დაინტერესება იმდენად მინიმალურია, მათი შეძენის შესაძლებლობითაც არავინ ინტერესდება.

ცენტრალური მედია

რესპონდენტების აზრით, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას ნაციონალური მედია შეძლებისდაგვარად კორექტულია, არ გადის დისკრიმინაციული ხასიათის სიუჟეტები და შეძლებისდაგვარად დაცულია ბალანსი (ჩანს ორივე მხარის პოზიცია). რესპონდენტების აზრით, ხელისუფლებას არ სურს ვითარების გამწვავება ეთნიკურად არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ამიტომ მისი "მალიხმევით" მედია მოზომილია.

თბილისის ფოკუს ჯგუფზე ის აზრიც გამოითქვა, რომ შესაძლებელია მედია ეთნიკურ თემებზე საუბრისას ზოგჯერ გამლიზიანებლის, აგრესიის გამღვივებლის როლსაც ასრულებდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, ზოგადად, მედიის სტილს, რომელიც სკანდალზეა მიმართული (იქნება ეს პოლიტიკასთან, რუსეთთან თუ ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებული თემები), შეუძლებელია იმის თქმა, რომ მედია რაიმე თვალსაზრისით განსაკუთრებულად გამოარჩევს ეთნიკური უმცირესობების თემას და სიტუაციის გამწვავებას უწყობს ხელს.

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, იმ შემთხვევებში, როდესაც მედია ეთნიკური თემის გაშუქებისას არაკორექტულობას ან არაობიექტურობას იჩენს, ეს ხდება არა თემის სპეციფიკის გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ კონკრეტულ სიტუაციაში სწორედ ეთნიკური საკითხი აღმოჩნდა ის, რის გარშემოც შესაძლებელი იყო ყურადღების კონცენტრირება.

მედიის კრიტიკისას გამოიყო რამოდენიმე ფაქტორი:

1. მედია ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას ზერელეა.

თბილისში ჩატარებულ ფოკუსურ-ჯგუფზეც ისაუბრეს იმაზე, რომ მედია ხშირად გადასცემს გადაუმოწმებელ ან ბოლომდე შეუსწავლელ ინფორმაციას, თუმცა ამ კონტექსტში განსაკუთრებულად არ გამოუყვიათ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები.

რესპონდენტები შეეცადნენ ისეთი ფაქტების გახსენებას, როდესაც მედია ცდილობს ეთნიკური უმცირესობების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზებით უარყოფით კონტექსტში მოხსენიებას, როდესაც ზოგიერთი გადაცემა ან გადაცემის სიუჟეტი „უბრალოდ, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს.“ თუმცა ბოლო პერიოდში მედიაში კონკრეტული ფაქტების გახსენება ვერცერთმა ჯგუფის მონაწილემ ვერ შეძლო და მსგავსი პრობლემები წარსულ პერიოდს მიაწერეს.

„თვითონ გადაცემა ისე წარმოდგენილი, რომ ამ ხალხზე (არა ჩემი ეროვნების წარმომადგენლებზე, არამედ სხვებზე მაქვს ნანახი ეს გადაცემა) მე უკვე თავისთავად მეკარგება ყოველგვარი წარმოდგენა, ისევე როგორც ამ ერის წარმომადგენლებზე. ხანდახან ვგრძნობ, რომ ვბრაზდები და ცუდი შეგრძნება მიჩნდება ამ ხალხის მიმართ და წარმომიდგენია, თვითონ ქართველებს როგორ ცუდი შთაბეჭდილება დარჩებათ მათზე. საერთოდ გადაცემა ძალიან აკურატულად უნდა იყოს გადაღებული. ინფორმაციას როგორ მიაწვდი მაყურებელს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.“

“მაგალითად, კვირაში ერთხელ რომ გავიდეს გადაცემა, დავუშვავთ, ქართველ ებრაელებზე და ყველა მხრიდან რომ გამოუქდეს ეს თემა, თუნდაც მათი ინტეგრაციისთვის. იგივე შეიძლება სომხებზე, რუსებზე, აფხაზებზე და ა.შ. საქართველოში ხომ ძალიან ბევრი წარმომადგენელი ცხოვრობს. ეს გადაცემები საჭიროა მათთვის. თუნდაც იმისთვის, რომ ისტორიული პარალელები გავავლოთ და ვაჩვენოთ, რომ თითოეული ეს უმცირესობა რაღაცას ნიშნავს ქვეყნისთვის. თითოეული ჩვენგანი რაღაცას ვაკეთებთ საქართველოსთვის და მარტო წურბელები და მტრები კი არ ვართ (ზოგჯერ ქართული მასმედიის მხრიდან ამ კუთხითაც არის ხოლმე წარმოდგენილი გადაცემებში.) ეს კი მედიის მხრიდან ერთგვარ გადამტერებას.“

2. მედია ეთნიკურ უმცირესობებზე ინფორმაციის გაშუქებისას, ძირითადად კონფლიქტურ რეგიონებზე ამახვილებს ყურადღებას და იქ დასახლებულ ეთნიკურ უმცირესობებზე ინფორმაცია ყველაზე ხშირად შუქდება. არის შემთხვევები, როდესაც მედია ერთეულ შემთხვევებს განაზოგადებს მთელ

ეთნიკურ ჯგუფზე და ამ გზით ლოკალური პრობლემა გლობალურ სახეს იღებს.

რესპონდენტთა მოსაზრებით, ყველაზე დიდი დოზით ნაციონალურ მედიაში აფხაზებსა და ოსებზე შუქდება ინფორმაცია. რესპონდენტთა ნაწილი ამ ფაქტს მისაღებად თვლის და უფრო მეტიც ცდილობს გასამართლებელი არგუმენტების მოყვანას, რადგან კონფლიქტურ ზონებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას საჭიროებდაც კი მიიჩნევენ.

მეორე მხრივ, თბილისის ჯგუფის ოსი ეროვნების მონაწილემ ამ მხრივ პრეტენზიები გამოთქვა. მისი აზრით, გარდა იმისა, რომ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ოსი ეროვნების ადამიანებზე ინფორმაციის გაშუქება, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე გახშირდა, მათ ხშირად უარყოფით კონტექსტშიც მოიხსენებენ და ერთი და იგივე ინფორმაციას რამდენჯერმე ატრიალებენ, ვიდრე კარგად არ დაძველდება. რესპონდენტის გადმოცემით, ეს პრეტენზია საინფორმაციო გადაცემების გარდა, ზოგადად, ოსი ეროვნების ხალხის მიმართ პოლიტიკის შედეგია, რაც ტელევიზიაზეც აისახება, რადგან აშკარად იგრძნობა დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმების საშუალებით ოსების დისკრიმინაციის მცდელობა.

„ოსებზე აჩვენებენ იოსტორიულ და დოკუმენტურ ფილმებს. ამ ფილმებს რომ ვუყურებ, სულ ვნერვიულობ: ერთსა და იმავეს ატრიალებენ, მეც ვღიზიანდები და გადავრთავ ხოლმე. ჯობია, ნეიტრალური ფილმები რომ აჩვენონ, რომ ცოტა ჩააცხროს სიტუაცია. მაგალითად მე რომ მეუბნებიან – აი, შენ ოსი ხარ! მერე რა, რომ ოსი ვარ? რას გიშავებ? ის, ვინც მეუბნება, თვითონაც გაღიზიანებულია ამ გადაცემებით და მეც მაღიზიანებს, ამიტომ არ უნდა იყოს ასეთი გადაცემები. ერთი ოსი თუ რამეს დააშავებს, 15-ჯერ იმეორებენ და ანერვიულებენ ამით ხალხს. მე ვიცი ისეთი შემთხვევებიც, რომ ეროვნების გამო – რომ ეს პიროვნება ოსი იყო – ტყუილად აბრალებდნენ რაღაც დანაშაულს. არა და ეს ადამიანი არ იყო ამის გამკეთებელი. სხვამ დააშავა, მაგრამ იძულებით აბრალებდნენ მას.“

რესპონდენტი სწორედ მედიის მოვალეობად მიიჩნევს მსგავს პრობლემებზე ზრუნვას. მისი აზრით, ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის მიმართ დანარჩენი საზოგადოების დამოკიდებულებაზე და დადებითი შთაბეჭდილების შექმნაზე მედიამ უნდა იზრუნოს დასაბუთებული, სამართლიანი მასალების გაშუქებით, არათუ თავად დაძაბოს ურთიერთობა.

„ტელევიზორში ჩემი თვალით ვნახე ტყუილად დადანაშაულებული ოსი და სიმართლევ ვიცი. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ერთმანეთს დააჯახონ ადამიანები. მეც მეუღლე ქართველი მყავს, განერვიულდება ხოლმე, მეტყვის:

აი, შენი ოსები რას აკეთებენ?! მე კი ვეუბნები – ჯერ გავიგოთ, რა ხდება სინამდვილეში და მერე განვსაჯოთ, ნულარ უყურებ ასეთ გადაცემებს. მერე ისიც მშვიდდება და ისევ ვრიგდებით..”

მედიის დამოკიდებულება კორექტულია აფხაზების მიმართაც, რომლებსგანაც, რესპონდენტების აზრით, არ ქმნიან მტრის ხატს, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ მათი, როგორც მეგობრების, შინაურების წარმოჩენა სურთ. თბილისის ჯგუფში განსაკუთრებით გამოიკვეთა აზრი, რომ ყველაზე კორექტული მედია სწორედ აფხაზების მიმართ არის.

3. რესპონდენტებში ცალსახა აზრი იყო, რომ რუსეთთან გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობის მიუხედავად, მედიაში რუსების, როგორც ეთნიკური ჯგუფის თემა არააქტუალურია, მედია არასოდეს გამოხატავს აგრესიას მათ მიმართ. ეს კარგად ასახავს მოსახლეობის განწყობასაც ამ ეთნიკური ჯგუფის მიმართ.

ზოგადად, რესპონდენტები იმასაც ასკვნიან, რომ ისევე როგორც რუსების, აფხაზებისა და ოსების შემთხვევაშიც მედია ავლენს სახელმწიფოსგან ლეგიტიმირებულ აგრესიას მათი მთავრობების და არა უშუალოდ ეთნიკური ჯგუფების მიმართ.

ახალციხელ რესპონდენტებში თურქი-მესხების თემა კიდევ უფრო აქტუალური იყო. მართალია, ისინი თვლიან, რომ ამ ეტაპზე მედია თურქი-მესხების საკითხს ნაკლებად აშუქებს, მაგრამ ცალსახად ამბობენ, რომ მედიის როლი თურქი-მესხების პოპულარიზაციაში ძალიან დიდია.

რესპონდენტებმა იმაზეც ისაუბრეს, რომ თურქი-მესხების მიმართ მედიის აშკარა კეთილგანწყობა აღიზიანებს რეგიონის სომეხ მოსახლეობას, რადგან ისინი ანალოგიურ განწყობას მედიაში მათი ეთნიკური ჯგუფის მიმართ ვერ ხედავენ. მედია არასოდეს აშუქებს კონსტრუქციულ, მეგობრულ ურთიერთობას სომხებსა და ქართველებს შორის. ამის გამო ადგილობრივი სომხები შიშობენ, რომ მათ თურქი-მესხებით ჩანაცვლებას უპირებენ, მედია კი საამისოდ ნიადაგს ამზადებს.

ზოგიერთი რესპონდენტი განაწყენებული ტონითაც კი საუბრობს ამ თემაზე – *“მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდებათ ჩვენი ეთნიკური ჯგუფი. საერთოდ სამცხე-ჯავახეთზე არანაირი ინფორმაცია არ გადის, თითქოს ეს კუთხე საქართველოს არ ეკუთვნოდეს. ამოჩემებული ჰყავს ტელევიზიას თურქი - მესხები, ყველა არხზე ლაპარაკობენ მათზე, სხვები არ აინტერესებთ.”*

4. არ შეუქდება ეთნიკური უმცირესობების ყოველდღიური, კულტურული ცხოვრება, ისტორიული მასალები, სოციალური პრობლემები, დღესასწაულები და სხვა.

ახალციხისა და მარნეულის ფოკუს ჯგუფის რესპონდენტების აზრით, ეს ერთი მხრივ, რეგიონალური ტელევიზიის საეთერო დროისა და უხარისხო მუშაობის შედეგია. ადგილზე მომზადებული საინფორმაციო გამოშვების ქრონომეტრაჟი იმდენად მცირეა, რომ რამოდენიმე ზოგადი, პოლიტიკური ინფორმაციის გადაცემის გარდა ვერაფერს ასწრებენ. მცირე ზომის სიახლეებიც გადაიცემა იმდენად ზერელედ, რომ ხშირ შემთხვევაში რესპონდენტები ინფორმაციას უზუსტობით აღიქვამენ. გარდა ამისა, ადგილობრივ და რეგიონალურ მედია საშუალებებში იშვიათად შეუქდება მასალას იმის თაობაზე, რომ *“სადღაც გაიხსნა სპორტული დარბაზი ან არაქართველები რაიმე ღონისძიებას ატარებენ. ქართველები როცა რამე ღონისძიებას ატარებენ, ხომ მირბის ტელევიზია?”*

“ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, ხშირი კონტაქტი მაქვს მოსახლეობასთან და ვიცი, რომ აქაური არაქართული მაცხოვრებლებიდან ბევრი საერთოდ არ იცნობს საქართველოს ისტორიას. ამიტომ საჭიროა ასეთი ინფორმაციის მიწოდება: ის, რაც აქაური მოსახლეობის ისტორიას, კულტურას, ან რელიგიას შეეხება. ხშირად არის ხოლმე მატყუარა წარმოდგენები სხვა ეროვნების წარმომადგენლებზე. ამგვარად, თუნდაც ზოგადი განთლების მიზნით, საჭიროა ასეთი გადაცემების არსებობა.”

5. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებზე რესპონდენტთა წუხილი ენის პრობლემასაც მნიშვნელოვნად ეხება. კერძოდ, ქართულ ენაზე გაშუქებული ინფორმაციის გაგება პრობლემას წარმოდგენს როგორც სომეხი, ასევე აზერბაიჯანელი მოსახლეობისთვის.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მარნეულის მოსახლეობა საინფორმაციო გადაცემებს ძირითადად, ბაქოს ტელეარხებზე უყურებენ. მათი გადმოცემით, ბაქო, მარნეულისა და ზოგადად, საქართველოში აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლებული ადგილების შესახებაც გადმოსცემს ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რაც მისთვის ხელმისაწვდომი ხდება. თუმცა, ინფორმაცია გარკვეული კუთხით განხილვის თემად თუ არ არის ქცეული, არ შეუქდება, რადგან ნებისმიერი „წვრილმანის“ შესახებ ბაქომდე ინფორმაცია არ მიდის.

რესპონდენტები იხსენებენ ბაქოს ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემის საშუალებით მოსმენილ სიუჟეტს, სადაც მარნეულის მიმდებარე ტერიტორიაზე მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვარსა და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის კონფლიქტი აისახა. ქართველმა

მოდვარმა, სიუჟეტის მიხედვით, მიმართა აზერბაიჯანელებს – „თქვენ სტუმრები ხართ და სახლებში წადითო“. რესპონდენტები კონფლიქტის საფუძველზე, მის განვითარებასა და შედეგზე სხვა სახის ინფორმაციას არ ფლობენ. მათ ახსოვთ მხოლოდ სიუჟეტი, ქართველი მღვდელის კომენტარით. გამოკითხულები თვლიან, რომ ასეთ ინფორმაციას ადგილობრივი ან ცენტრალური მედია მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს. მათი აზრით, აზერბაიჯანული ტელევიზიით გადმოცემული ინფორმაცია შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს რეალობას, ან ფაქტები დამახინჯებულად მივიდეს მაყურებლამდე. ამასთან, დასახელებული თემა კონფლიქტს ეხება და სხვა ქვეყნის ტელევიზიაში გაშუქებამ შესაძლებელია სიტუაციის დამაბზვა წერტილოვნად, მხოლოდ მაერნეულში კი არა, გლობალურად გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევებში რესპონდენტები თვლიან, რომ ადგილობრივი მედია უნდა ჩაერთოს კონფლიქტში და ობიექტური მიდგომით ეცადოს სიტუაციის გამწვავების გარეშე გაარკვიოს წარმოქმნილი პრობლემა.

რესპონდენტები ირწმუნებიან, რომ ამ თენაზე ქართულ არხებზე გასული სიუჟეტი არ უნახავთ, თუმცა, ქართული არხების ყურებადობის დონე იმდენად დაბალია, არ არის გამორიცხული, კონკრეტულ თემაზე სიუჟეტის ხილვა, უბრალოდ, გამორჩენოდათ. რესპონდენტები არ ადევნებენ თვალს ადგილობრივ მედიას ენის პრობლემის გამო. ისინი ამბობენ, რომ ძალზე ცოტამ იცის მათ შორის ენა იმ დონეზე, რომ ინფორმაციის შინაარსი საფუძვლიანად გაიგოს. ამ მხრივ, ახალციხის და მარნეულის ეთნიკური უმცირესობა განსაკუთრებით მძიმედ, 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდს იხსენებს. როდესაც თითქმის ვერანაირ ინფორმაციას არსებული სიტუაციის შესახებ, სრულყოფილად ვერ იგებდნენ.

“აგვისტოს ომის დროს იყო ასეთი შემთხვევა, ზოგმა სომეხმა ქართული კარგად არ იცის და, რომ ვერ გაიგო გაავრცელა ჭორი, რომ რუსები უკვე ახალციხეში შემოდიოდნენ, არადა ქართული ტანკი იყო. ხალხს კი შეეშინდა და ზოგი გაიქცა კიდევ.” (ახალციხე)

“კადრებს უფრო უყურებდნენ, ენა არ ესმოდათ. ენა რომ ვერ გაიგეს, ტანკზე არსებული წარწერა - “Georgia” წაიკითხეს, როგორც - “გიორგაძე” და ჩათვალეს გიორგაძის ტანკებად. მთელი სომხები პანიკაში იყვნენ, გიორგაძე მოდისო.” (ახალციხე)

“ერთხელ ტელევიზიაში გაშუქდა ინფორმაცია, რომ მიწისძვრა იყო, მთელი ჯავახეთი მთელი ღამით გარეთ იყო, სულ ტყუილად. მართალია, ყველა ადამიანმა, ვინც საქართველოში ცხოვრობს, უნდა იცოდეს ქართული ენა,

თუმცა კარგი იქნება, გადაცემები რომ იყოს სომხურადაც, ამ შემთხვევაში ხალხი უფრო მეტად უყურებდა ასეთ სატელევიზიო არხებს.” (ახალციხე)

“ყარაბაღში დაიწყეს სომხური სკოლებისა და კულტურის ცენტრების დახურვა, ეს ჩვენ არ ვიცოდით. თან ყველამ არ იცის ქართული, სოფლებში მითუმეტეს, არც რუსული იციან, არც - ქართული, ისინი ვაკუუმში არიან, სომხურად ინფორმაცია არ არის.”

“ავისტოში ომი რომ იყო წარმოდგენა არ გვქონდა ამის შესახებ, როცა შვეიცარიულ ვერ გავიგეთ ვინ იყო დამნაშავე, ვუყურებდით რუსულ არხებს, ისინი ჩვენ საწინააღმდეგოს ამბობდნენ, ჩვენ ეხლაც არ ვიცით რა ხდებოდა სინამდვილეში.” (მარნეული)

6. ნაციონალურ ტელევიზიაში გაშუქებული საინფორმაციო გადაცემების მიმართ, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის არის განკუთვნილი, მარნეულისა და ახალციხის ჯგუფის მონაწილეებს ერთგვაროვანი პრეტენზია აქვთ. მათი აზრით, ეს არის ხელისუფლების ნება, გამოხატოს ეთნიკური უმცირესობების მიმართ პატივისცემა და თავად ფაქტი, რა თქმა უნდა, პოზიტიურ ემოციას იწვევს. თუმცა, საინფორმაციო გადაცემების ენა გამოკითხულთა გადმოცემით, მათთვის გაუგებარია და ამის გამო მაყურებელი არ ჰყავს. „თუ ხელისუფლებამ გადაწყვიტა კეთილი საქმის კეთება, ხარისხიანად უნდა გააკეთოს.“

„მე ვფიქრობ, ეს ართგვარი პატივისცემის ნიშანია, რომ უმცირესობების ენაზე გადის საინფორმაციო, თუმცა, უფრო მეტად საჭირო თვითონ პრობლემებზე გამახვილდეს ყურადღება, ამა თუ იმ ეროვნების ადამიანებზე.“

“ჩვენ გვაინტერესებს საქართველოს პოლიტიკა. შუქდება ქართულ არხებზე, თუმცა ყველამ არ იცის ქართული ენა, ამიტომ ისინი თურქულ და აზერბაიჯანულ არხებს უყურებენ. პირველ არხზეა კვირაში ერთხელ აზერბაიჯანულად, თუმცა უხარისხოდ, ზოგჯერ სიტყვებს ამბობენ არასწორად და ეს მიმდინარეობს 15 წუთით. კარგი იქნება ეს ხარვეზი გამოსწორდეს რომ გავიგოთ რა ხდება მთელს საქართველოში.”

ზოგადად, გადაცემული ინფორმაციის ობიექტურობასა და ბალანსზე საუბარი რესპონდენტებს უჭირთ, თუმცა მაინც სჭარბობს აზრი, რომ მედია ხშირად სუბიექტურია.

ტერმინები\ფრაზები

ორივე ფოკუსურ ჯგუფში რესპონდენტებს, გაუჭირდათ კონკრეტული ტერმინების ან ფრაზების დასახელება, რომლებითაც მედიაში ეთნიკურ უმცირესობებს მოიხსენიებენ. ეს განსაკუთრებით ახალციხის ფოკუსურ ჯგუფს ეხება, სადაც მონაწილეებმა საერთოდ, რთულად აღიქვეს, კონკრეტულად, რა ტერმინებსა და ფრაზებზე იყო საუბარი. ისინი დაბეჯითებით აღნიშნავენ, რომ სომხების მიმართ მედია კონკრეტულ გამონათქვამებს ან სიტყვებს არასოდეს იყენებს. თუ აგრესიული განწყობა იგრძნობა, ის არ იქმნება შეურაცხმყოფელი ფრაზებით ან ამ ეთნოსისადმი გარკვეული იარლიყების მიკერებით.

ზოგადად, ფოკუს ჯგუფებზე აღინიშნა, რომ ზოგ შემთხვევაში სტერეოტიპულ მიდგომებს საჯარო მოხელეები ამკვიდრებენ. ისინი შესაძლებელია საუბრის ან გამოსვლების დროს კონკრეტულ ტერმინებს არ უყენებენ რომელიმე ეთნიკური უმცირესობების დასახასიათებლად, მაგრამ, მათი აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებაში აყალიბებს სტერეოტიპულ მიდგომებს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მიმართ.

მაგალითად, ახალციხის ფოკუს ჯგუფზე გაიხსენეს, რომ *“ზვიად გამსახურდიას ნათქვამი ქონდა - “საქართველო სომხების გარეშე”. ასევე, გაჩეჩილაძეც ცუდად ლაპარაკობს ეთნიკურ უმცირესობებზე.”*

“ჩვენ შევარდნაზე თათრებს გვეძახდა და მერე ხავლხისთვისაც თათრები გავხდით. ეს ცუდი იყო. როგორც მშობლები მოგვიხსენიებენ, ისე – დაგვიძახებენ შვილებიც. თუმცა რაც სააკაშვილია პრეზიდენტი, ეს აღარ ხდება.” (მარნეული)

მედიიდან სიუჟეტების ტექსტების ტესტირება

ფოკუსური ჯგუფების მუშაობისას სამივე ჯგუფის მონაწილეებს დაურიგდათ ქართული მედიიდან ამონარიდები, რომლებშიც მოცემული იყო ეთნიკური უმცირესობების თემებზე კომენტარები.

დასახელებული სტატიების მიზანი იყო ასოციაციურად წამოეწია წინ სხვა სტატიები/სიუჟეტები, რომლებსაც შესაძლოა, სხვადასხვა მედია-საშუალებებში შეხვედრიან რესპონდენტები. გარკვეულწილად ამ მეთოდმა გაამართლა. ჯგუფის უკლებლივ ყველა მონაწილემ წაიკითხა სტატიები (ჯგუფის არაქართველს წევრებს, რომლებსაც უჭირდათ მასალის ქართულ

ენაზე აღქმა, სტატიას ხმამაღლა უკითხავდა ფოკუსური ჯგუფის მოდერატორი).

დასახელებული სტატიების\სიუჟეტების განხილვამ რესპონდენტებს Lბიძგი მისცა უფრო მეტი და არგუმენტირებულად ესაუბრათ შეთავაზებულ თემაზე.

ახალციხეში

- ეთნიკურ უმცირესობებზე ინფორმაცია ადგილობრივ მედიაში, ბუნებრივად, უფრო მეტია ახალციხეში, ვიდრე თბილისსა და მარნეულში. მაგრამ ადგილობრივ მედიაში მიწოდებული ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ეთნიკურ უმცირესობას (როდესაც საუბარია ეთნიკურ უმცირესობაზე, ახალციხის ჯგუფში ყოველთვის სომხებს გულისხმობენ), განიხილება არა როგორც უმცირესობასთან დაკავშირებული, არამედ როგორც ინფორმაცია, რომელიც ასახავს რეგიონში მომხდარ რაღაც მოვლენას. რეგიონში კი ეთნიკური უმცირესობის ბევრი წარმომადგენელი ცხოვრობს. ადგილობრივი მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც ასე თუ ისე ეხება სომხებს, არ განიხილება განსხვავებულ ჭრილში, ვიდრე ნებისმიერი სხვა ტიპის ინფორმაცია. სავარაუდოდ, ეს იმას უკავშირდება, რომ აქაც ადგილი აქვს ფაქტების მშრალ კონსტატაციას, მკაფიო პოზიტიური ან ნეგატიური შეფერილობის კომენტარის ან ავტორისეული აზრის დაფიქსირების გარეშე.

მარნეულში

- ეთნიკური უმცირესობების თემაზე მომზადებული სტატიების\სიუჟეტების ობიექტურობის თემა რესპონდენტებს თავისებურად ესმით. ერთი მხრივ, მათთვის ობიექტურია ის მასალა, რომელშიც მოყვანილია ფაქტი და დაპირისპირებულ მხარეებს აზრის გამოთქმის თანაბარი შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ მეორე მხრივ, წაკითხული მასალებიდან სომხების თემაზე სტატიის ამონარიდის მიმართ (*“მე არ მესმის, რა დაკარგა სომხეთმა ყარაბახსა და ჯავახეთში. მე მათ ვურჩევ, ჩამოყალიბდნენ ფლორიდაზე, კალიფორნიაზე, კრასნოდარის მხარეზე, მარსელზე, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სომხებს გამბედაობა არ ჰყოფნით, ამერიკას მოსთხოვონ მიწები, ან თუნდაც საფრანგეთსა და რუსეთს”. - აცხადებს სტატიაში რესპოდენტი იოსებ ცინცაძე.*) ჯგუფების მონაწილე აზერბაიჯანელ რესპონდენტებს აქვთ ასეთი ლოგიკა: როდესაც არაქართველები ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის პროვოცირებას ცდილობენ (მაგალითად, პრეტენზიას აცხადებენ რომელიმე

ტერიტორიაზე, ეკლესიაზე, ითხოვენ საკუთარი ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას და ა.შ.), ჟურნალისტის ან რომელიმე საჯარო პირის გაღიზიანება სრულიად ბუნებრივია და მისი პოზიცია, თუ ამ გაღიზიანებას ღიად აფიქსირებს, მაინც ობიექტურია.

თბილისში

- კონკრეტული ფრაზებითა და ტერმინებით ეთნიკურ უმცირესობებს არ ახასიათებენ. ეს თანაბრად ეხება როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შინაარსის მქონე ზედსართავ სახელებს, იარლიყებს და ა.შ. მით უფრო, ეთნიკური უმცირესობების\მათი წარმომადგენლების აღწერა არასოდეს არის შეურაცხმყოფელი. ამას ფოკუსური ჯგუფის მონაწილე რესპონდენტებიც ადასტურებენ, რომლებმაც ასევე ვერ შეძლეს მსგავსი ფრაზების\ტერმინების გახსენება (გამონაკლისს წარმოადგენს სიტყვათაშეთანხმებები "აფხაზი სეპარატისტი" და "ოსი კრიმინალი", რომლებიც ჯგუფების მონაწილეებმა გაიხსენეს. მათი აზრით, თუ მეორე შემთხვევაში შეთანხმებას შეიძლება რაღაც აზრი ჰქონდეს იმის გათვალისწინებით, რომ კონფლიქტურ ზონაში მნიშვნელოვანია, ვინ ჩაიდინა დანაშაული, "აფხაზი სეპარატისტი" სრულიად მედიის პირმშოა.)

რესპონდენტების რეკომენდაციები

რესპონდენტებს გაუჭირდათ რეკომენდაციების ჩამოყალიბება კონკრეტულად, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების გაშუქებასთან დაკავშირებით. ისინი უფრო ზოგადი რჩევებითა და სურვილებით შემოიფარგლნენ. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი მათგანი:

- მედიამ ნებისმიერი საკითხი უნდა გააშუქოს უფრო ღრმად და დასაბუთებულად. სასურველია, საუბარი მეტად იყოს ფაქტებზე, კონკრეტული ისტორიის საწყისებზე, მის განვითარებაზე და ნაკლებად კომენტარებზე, რომლებიც სიტუაციაში ჩაღრმავების გარეშე არა თუ ამდიდრებს, არამედ კიდევ უფრო გაუგებარს ხდის სიუჟეტს.
- თუ მედია გრძნობს, რომ ამა თუ იმ ფაქტის შიშვლად გამოძიებურებამ შეიძლება გამოიწვიოს მასობრივი პროტესტი ან სიტუაციის დამაბუვა ისედაც რთულ რეგიონებში, უმჯობესია მან თავი შეიკავოს რაღაცის გაშუქებისგან.
- მედია ნაკლებად უნდა თამაშობდეს "წამქეზებლის როლს." შესაძლოა მან ზოგჯერ არათუ შეალამაზოს, არამედ უბრალოდ, უფრო ტაქტიანად შეაირჩიოს მასალის მიწოდების ფორმა.

- მედიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ადათ-წესებზე, მათ ადაპტირებულობაზე ადგილობრივ გარემოსთან და არა კონფლიქტზე (თუმცა, ამის პარალელურად ჯგუფის წევრები იმასაც აღნიშნავენ, რომ გადაცემას, ახალქალაქში ან მარნეულში სოფლის მეურნეობაზე, მაყურებელი არასოდეს ეყოლება).
- მედიამ მეტი დრო უნდა დაუთმოს აფხაზეთში კონფლიქტური ზონებში არსებული სიტუაციის/პრობლემების გაშუქებას, რადგან მაყურებელს ხშირად ეჭვი ეპარება გასული მასალის ობიექტურობაში.